

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონში პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა ახალი პატიმრობის კოდექსის პროექტის მომზადებამ, რომლის, ისევე როგორც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ამოქმედების ვადად განისაზღვა 2010 წლის 1 ოქტომბერი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი პატიმრობის კოდექსის პროექტის გამომდინარე კანონის პროექტია და მისი მიზანია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პატიმრობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ვინაიდან პატიმრობის კოდექსი აღარ ითვალისწინებს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ცნებას, შესაბამისად ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას საჭიროებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონკრეტული მუხლები, ამასთან ცვლილებებს საჭიროებს კოდექსის ის მუხლები რომელიც ეხება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებას, ასევე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას, იმდენად რამდენადაც პატიმრობის კოდექსი შესაბამისად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხების განმხილველი ადგილობრივი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდებულის პირისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებრივთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე, ხოლო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია – ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი და ლაშა თორდია.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი და ლაშა თორდია.